საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა

ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დავალება ..... 3 გვ.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა ..... 4 გვ.

3. დამატებითი ინფორმაცია ..... 6გვ.

4. დანართი №1. ..... 7გვ.

5. ფასების ცხრილი (დანართი №2) ..... 8 გვ.

6. აფიდავიტის ფორმა (დანართი №3) ..... 9 გვ.

1. ტექნიკური დავალება

1.1 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა:

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა
სერვერი	პროცესორი - მინიმუმ ორი (2) 2.3GHz, 10 Cores, 25MB L3 Cache; ოპერატიული მეხსიერება - მინიმუმ 64GB (4x16GB) Dual Rank x4 DDR4-2133; მეხსიერების სლოტები - მინიმუმ 24 მეხსიერების სლოტი, შემდგომი გაფართოებისათვის; მყარი დისკები - ოთხი (4) 1.2TB 12G SAS 10K rpm SFF (2.5-inch) SC; მყარი დისკის სლოტი - მინიმუმ 24 SFF დისკამდე გაფართოების შესაძლებლობა; მყარი დისკების კონტროლერი - 2GB FBWC 12Gb 2-ports SAS Controller; კვების წყარო - მინიმუმ ორი (2) 800w Hot Plug power supplies; სერვერის ზომა - მაქსიმუმ 2 U.	2
მუდმივი კვების წყარო	Smart Online, rj45 კონექტორი მართვისთვის, output 3000va, input power 230v, მინიმუმ 40წთ 800vt დატვირთვაზე.	1

შენიშვნა:

- ✓ **მოსაწოდებელ საქონელზე საგარანტიო ვადა : სერვერის შემთხვევაში მინიმუმ 3 წელი, ხოლო მუდმივი კვების წყაროს შემთხვევაში მინიმუმ 2 წელი, საქონლის მოწოდების თარიღიდან.**
- ✓ **შემოთავაზებული ტექნიკა უნდა ირიცხებოდეს მწარმოებლის ვებ კატალოგში;**
- ✓ **პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა;**
- ✓ **შემოთავაზებული ტექნიკის მწარმოებელს საქართველოში უნდა გააჩნდეს სერვის ცენტრი.**

1.2. საქონლის მოწოდების ვადები:

2.1 საქონლის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 დღის განმავლობაში;

2.2 საქონლის მოწოდების ადგილი – საქონლის მიწოდება განხორციელდება ქალაქ თბილისში მისამართზე – წერეთლის გამ. N144.

1.3. ანგარიშსწორების პირობები – ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. გამოყენებული იქნება წინასწარი გადახდის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით. წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო/სადაზღვევო გარანტია წინასწარ გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

<u>1.4. სატენდერო წინადადება და თანმხლები დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.</u>

1.5. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

1.6. პრეტენდენტის მიერ, სისტემაში ასატვირთი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, ანგარიშსწორების პირობები, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მიხედვით.

ბ) ფასების ცხრილი დანართი №2–ის მიხედვით.

გ) ინფორმაცია საგარანტიო პირობების თაობაზე.

დ) მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ინფორმაცია შემოთავაზებული ტექნიკის მწარმოებლის ვებ კატალოგში არსებობის თაობაზე;

ვ) ინფორმაცია შემოთავაზებული ტექნიკის მწარმოებელის საქართველოში არსებული სერვისცენტრის თაობაზე;

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით და, მეორეს მხრივ ----------, შემდგომში “მიმწოდებელი“ , ---------- სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა ელექტრონული ტენდერი (SPA --------) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV-------) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი -------- (----------) ლარად (შემდგომში ‘‘ხელშეკრულების ღირებულება“)

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. გასაწევი მომსახურების აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტების ---------- შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მოწოდების პირობები:

4.1. ვადები:

4.1.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს -- დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისში შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართზე: წერეთლის გამ. N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტისა და სამ ეგზემპლარად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე..

6.ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. გამოყენებული იქნება წინასწარი გადახდის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით. წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო/სადაზღვევო გარანტია წინასწარ გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და საგარანტიო პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით).

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.
13.2 საქონლის მოწოდების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით,მოსაწოდებელი საქონლის 0.1%-ის ოდენობით.
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.
14.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
15.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, ---------- .

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება -- წლის --- ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მომწოდებელთან", ხოლო ორი - ,,შემსყიდველთან".

შემსყიდველი	**მომწოდებელი**
---	---

3. დამატებითი ინფორმაცია

1. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

2. გასაწევი მომსახურების ღირებულების დაფარვა მოხდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მომსახურების შესაძენად საფინანსო (საბიუჯეტო) წლისათვის გამოყოფილი ასიგნებებისა და არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში თუ ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი დაფიქსირდება 20%-ზე მეტი, ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით.

4. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: თამარ შალამბერიძე, ზურაბ ფესვიანიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N144, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მე-6 სართული, ოთახი 601. ტელეფონი: (995 22) 510041 – 0703.

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის/ან უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

ბანკი და ბანკის კოდი: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____

2. **ანგარიშსწორების პირობები:**

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. გამოყენებული იქნება წინასწარი გადახდის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით. წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარ გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

3. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

დანართი N2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

საქონლის დასახელება	**საქონლის ძირითადი მახასიათებლები**	**მოდელი/მწარმოებელი კომპანია**	**წარმოშობის ქვეყანა**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო ღირებულება**

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

_____ ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შენიშვნა: სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

დანართი №3

აფიდავიტის ფორმა

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის–სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.